საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№61 ქ. თბილისი

26 იანვარი, 2008 წელი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლევან მურუსიძე (თავმჯდომარე),
ზაზა მეიშვილი, იური ტყეშელაშვილი

სხდომის მდივან — გ. შალამბერიძის

პროკურორ — გ. ბაღდავაძის
ადვოკატ — თ. გოგსაძის

მონაწილეობით განიხილა ამირ ჰოსეინ არდებილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თემურ გოგსაძის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 დეკემბრის დადგენილებაზე.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა გ. ლაცაბიძემ 2007 წლის 29 ნოემბერს განიხილა ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციისა და სახელმწიფო დეპარტამენტებიდან წარმოდგენილი შუამდგომლობები და თანდართული მასალები ძებნილი — ამირ ჰოსეინ არდებილის, იგივე ალექს დეივის, იგივე ამირ აჰქამის, იგივე არაშ ქორენის ამერიკის შეერთებული შტატების სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაცემის შესახებ.

ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების საოლქო სასამართლოს დელავერის ოლქის მაგისტრატი მოსამართლის მიერ 2007 წლის 10 სექტემბერს №07-1778 საქმეზე და ასევე, მასაჩუსეტსის ოლქის მაგისტრატი მოსამართლის მიერ 2007 წლის 28 სექტემბერს №07-845 მბბ საქმეზე გაცემულ იქნა ბრძანებები ამირ ჰოსეინ არდებილის, იგივე ალექს დეივის, იგივე ამირ აჰქამის, იგივე არაშ ქორენის დაკავების შესახებ, მის მიერ კონტრაბანდის, შეიარაღების კონტროლის აქტის დარღვევის, საერთაშორისო საგანგებო ეკონომიკური უფლებამოსილების აქტის დარღვევისა და ფულის გათეთრების ბრალდების გამო.

საქართველოს გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის, გ. ლაცაბიძის დადგენილება მოტივირებული იქნა იმ გარემოებებზე მითითებით, რომ ამირ ჰოსეინ არდებილის მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩადენილი ქმედებების ანალოგიური ქმედებები შეიძლება დანაშაულად იქნეს მიჩნეული საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილის (საბაჟო წესების დარღვევა დიდი ოდენობის მოძრავი ნივთის გადმოტანით) და 192-ე მუხლის პირველი ნაწილის (უკანონო სამეწარმეო საქმიანობა) შესაბამისად.

ამირ ჰოსეინ არდებილი 2007 წლის 2 ოქტომბერს, დაკავებული იქნა ქ. თბილისში.

ა. არდებილმა, როგორც ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა და მისი ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ს. კომახიძემ 2007 წლის 18 დეკემბერს გაასაჩივრეს საქართველოს გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის 2007 წლის 29 ნოემბრის დადგენილება და მოითხოვეს მისი გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 დეკემბრის დადგენილებით ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის — ა. არდებილის და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. კომახიძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქართველოს გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის 2007 წლის 29 ნოემბრის დადგენილება ა. არდებილის ამერიკის შეერთებული შტატების სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაცემის შესახებ დარჩა უცვლელად.

ა. არდებილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. გოგსაძე კერძო საკასაციო საჩივრით მოითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 დეკემბრის დადგენილების გაუქმებას.

საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს პროკურორი გ. ბაღდავაძე შესაგებლით მოითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 დეკემბრის დადგენილების უცვლელად დატოვებას.

პალატის სხდომაზე ა. არდებილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. გოგსაძემ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

პროკურორმა გ. ბაღდავაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 დეკემბრის დადგენილება მიიჩნია კანონიერად და იშუამდგომლა მისი უცვლელად დატოვება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დადგენილება მოცემულ საქმეზე კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ უცხო სახელმწიფოსთან არ არის დადებული ხელშეკრულება სამართლებრივი დახმარების შესახებ, ასეთი დახმარების საკითხი შეიძლება გადაწყდეს საქართველოს გენერალურ პროკურორსა და აღნიშნული სახელმწიფოს შესაბამის თანამდებობის პირთა შორის სპეციალურად ამ შემთხვევისათვის დადებული შეთანხმებით. საქმის მასალებით დგინდება, რომ საქართველოს გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელსა და აშშ-ს დეპარტამენტს შორის დადებულია აღნიშნული ხელშეკრულება.

პალატა თვლის, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის იდენტიფიკაციის საკითხი ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მოწოდებული საექსტრადიციო დოკუმენტის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ამირ ჰოსეინ არდებილი 2005 წლიდან 2007 წლის ოქტომბრის თვემდე ბრალად შერაცხული ქმედებების სავარაუდო ჩადენისას მოქმედებდა ალექს დეივის, ამირ აჰქამის, არაშ ქორენის სახელებით.

პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის დადგენილება ამირ ჰოსეინ არდებილის ექსტრადიციის შესახებ არ ეწინააღმდეგება საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის მოთხოვნებს. ასევე არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 257-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი გარემოება, რომელიც გახდებოდა ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძველი.

ადვოკატის საჩივარში მითითებული მოტივაცია იმის შესახებ, რომ არ არსებობს ექსტრადიციის ფაქტობრივი საფუძველი, კერძოდ არ დგინდება ა. არდებილის სავარაუდო და დანაშაულებრივად ნაგულისხმები ქმედება, არ შეიძლება გახდეს ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძველი, რადგან მისი ბრალეულობის დადგენა ა. არდებილის მიერ განხორციელებულ ქმედებებში სცილდება პალატის უფლებამოსილებას. ადვოკატის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ა. არდებილის ექსტრადიცია ატარებს პოლიტიკურ ხასიათს და, რომ ა. არდებილის აშშ-ის სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაცემის შემთხვევაში მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას დაემუქრება საფრთხე, კერძოდ წამება და არაადამიანური მოპყრობა, დაუსაბუთებელია, ვინაიდან აღნიშნული არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან და არც დაცვის მხარეს წარმოუდგენია მტკიცებულება, რითაც დადასტურდებოდა ზემოთმითითებული საფრთხის არსებობა.

ამდენად, პალატა თვლის, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 დეკემბრის დადგენილება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 დეკემბრის დადგენილება, რომლითაც ძალაში დარჩა საქართველოს გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის გ. ლაცაბიძის 2007 წლის 29 ნოემბრის დადგენილება ამირ ჰოსეინ არდებილის, იგივე ალექს დეივის, იგივე ამირ აჰქამის, იგივე არაშ ქორენის ამერიკის შეერთებული შტატების სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაცემის შესახებ, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე ლ. მურუსიძე

მოსამართლეები: ზ. მეიშვილი

ი. ტყეშელაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლო
SUPREME COURT OF GEORGIA
ВЕРХОВНЫЙ СУД ГРУЗИИ
20386050 8